



N 21/1957
21/03/2023

1957-21-2-202303211558



შპს „მეგა ჰოლდინგს“

მის: ქ. თბილისი, გლდანის რაიონი, ზაჰვისი

ელ.ფოსტა: info@tbilcement.ge

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენ მიერ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, წარმოდგენილი N1641 განცხადება, რომელიც ეხება კასპის მუნიციპალიტეტში, სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეშის) გადამამუშავებელი საწარმოსა და ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს და გაცნობებთ შემდეგს:

- გზმ-ის ანგარიშში მოცემული დანართი 2 (საწარმოს გენ. გეგმა ხმაურის წყაროების დატანით), სურათი N5.3.1 (საწარმოო ობიექტის გენ. გეგმა) და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში მოცემული დანართი 1 (საწარმოს ტექნოლოგიური სქემა გაფრქვევის წყაროების ჩვენებით) წარმოდგენილია დაბალი რეზოლუციით და არ არის გარჩევადი, ამასთან არ არის დატანილი საპროექტო ტერიტორიის კონტური;
- საწარმოს სამუშაო რეჟიმის (16 სთ) გათვალისწინებით, ამასთან ვინაიდან სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებას თან ახლავს ხმაურით გამოწვეული მნიშვნელოვანი ზემოქმედება გარემოზე, დეტალურად უნდა იქნეს წარმოდგენილი: პროექტის ფარგლებში ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, სადაც სათანადოდ იქნება გათვალისწინებული არსებული/ფაქტობრივი და საპროექტო გარემოებები. კერძოდ, ხმაურის ყველა წყაროს, მათ შორის საწარმოს 500 მეტრიან რადიუსში არსებული ხმაურის გამომწვევი ობიექტების ხმაურის დონეების გათვალისწინებით, გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ხმაურის გავრცელების დონეების გაანგარიშება და მოდელირება;
- გზმ-ის ანგარიშის 12.13 ქვეთავში აღნიშნულია, რომ „საწარმოს ტერიტორიაზე და მოსახლესთან მუდმივად მიმდინარეობს ინსტრუმენტული მონიტორინგი, რა დროსაც არცერთხელ არ ქონია ადგილი ნორმაზე გადაჭარბებას“ თუმა გზმ-ის

ანგარიშში არ არის მოცემული აღნიშნული მონიტორინგის შედეგების შესახებ ინფორმაცია;

- გზმ-ის ანგარიშის თანახმად სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი დანადგარი იმუშავებს 16 საათიანი და ორცვლიანი სამუშაო რეჟიმით, თუმცა არ არის მოცემული სამუშაო გრაფიკის (დღისა და ღამის საათები) შესახებ ინფორმაცია;
- ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში (ზდგ) წარმოდგენილი მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროების პარამეტრები, კერძოდ: არაორგანიზებული მავნე ნივთიერებათა გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების X; -Y; კოორდინატები, გაფრქვევის წყაროების დიამეტრი და აირჰაერნარევი ნაკადის მოცულობითი და სწორხაზოვანი სიჩქარეები მითითებულია არასწორად და საჭიროებს შესწორებას. აღნიშნული არასწორი მონაცემები ასევე ასახულია გამოყენებული ავტომატიზებული კომპიუტერული პროგრამა „ეკოლოგი 3.0“-ში, რომელიც პროპორციულად ახდენს გავლენას სპეციალურად შერჩეულ წერტილებში ზდგ-ს მაჩვენებლებზე და ცვლის მათ მნიშვნელობებს;
- ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის (ზდგ) პროექტის მე-6 თავის ფორმა №2 და ცხრილები 7.1 და 8.1 არ არის შესრულებული „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების გაანგარიშების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №408 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 30 სექტემბრის №483 დადგენილების შესაბამისად;
- გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილია მხოლოდ საწარმოს განთავსების შერჩეული ალტერნატიული ვარიანტის დადებითი მხარეები, გზმ-ის ანგარიშში განხილული უნდა იყოს სათანადო ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობისა და მისი განხორციელების ადგილის ყველა გონივრული ალტერნატივის შესახებ, შესაბამისი დასაბუთებით;
- გზმ-ის ანგარიშში არ არის მოცემული სარეზერუარო პარკის შემოზღინვის შესახებ ინფორმაცია;
- გზმ-ის ანგარიშში აღნიშულია - „საწარმოს წარმოება, ტექნოლოგიური დანადგარების გაუმჯობესების და საწარმოო საათების ზრდის ხარჯზე არის უდანაკარგო.“ თუმცა აღნიშნული ფაქტი არ შეესაბამება რეალობას, ვინაიდან ქვიშა-ხრემის სველი მეთოდის გადამამუშავებისას წარმოიქმნება წვრილფრაქციული ლამი. გზმ-ის ანგარიშში დაზუსტებას საჭიროებს სალექარში დაგროვილი ლამის მოსალოდნელი რაოდენობის შესახებ ინფორმაცია;
- ვინაიდან სალექარიდან ამოღებული ლამი წარმოადგენს ადვილად ამტვერებად, წვრილფრაქციული შემადგენლობის ნარჩენს, დაზუსტებას საჭიროებს მისი ქვიშის საწარმოს ტერიტორიის სიახლოვეს არსებულ წიაღისეულის მოპოვების სალიცენზიო ტერიტორიის ფარგლებში განთავსების მიზანშეწონილობის შესახებ ინფორმაცია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით გადამამუშავებელი, სრულყოფილი დოკუმენტაციის სააგენტოში წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

თ. ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

